# ჰემატოლოგიის დეპარტამენტი



პროფესორი ნინო შარაშენიძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ემერიტუსი დარეჯან ღირდალაძე



ასოცირებული პროფესორი თინათინ კირტავა



ასოცირებული პროფესორი მარინე აბაშიძე



ასისტენტ-პროფესორი მიხეილ გადაბაძე

# ჰემატოლოგიის დეპარტამენტი

ჰემატოლოგიის დეპარტამენტის წინამორბედი - ჰემატოლოგიის კათედრა შეიქმნა 1997 წელს სამედიცინო-ბიოლოგიურ ფაკულტეტზე. კათედრაზე მუშაობდნენ: კათედრის გამგე პროფესორი მ. შეყლაშვილი, კათედრის პროფესორი დ. ღირდალაძე (2002 - 2020 - კათედრის ხელმძღვანელი), კათედრის ასისტენტები: მ. აბაშიძე (შემდგომში - კათედრის დოცენტი და ასისტენტ-პროფესორი) და ლ. კუპრაშვილი. კათედრაზე უფროს ლაბორანტად მუშაობდნენ მედიცინის აკადემიური დოქტორი შ. ძველაია, მედიცინის აკადემიური დოქტორი თ. ვარდოსანიძე, მედიცინის აკადემიური დოქტორი მ. ანთელავა და მედიცინის აკადემიური დოქტორი თ. ვაწაძე.

კლინიკურ ჰემატოლოგიას შეისწავლიან მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები. 1999 წლიდან აქ სწავლება მიმდინარეობს უცხოენოვან სტუდენტებთანაც. გარდა პრედიპლომური სწავლებისა, დეპარტამენტი მონაწილეობს პოსტდიპლომურ სწავლებაში რეზიდენტებთან კლინიკურ ჰემატოლოგიაში; პოსტდიპლომურ მომზადებას ჰემატოლოგიაში 1 თვიანი მოდულების სახით გადიან სხვა დარგის რეზიდენტებიც, აგრეთვე სხვა დარგის უცხოენოვანი რეზიდენტები, გარდა ამისა, კათედრაზე მიმდინარეობს უსგ პროგრამით სწავლება.

2012 წელს, ჰემატოლოგიის დეპარტამენტის პროფესორს, დარეჯან ღირდალაძეს მიენიჭა საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის წოდება სამეცნიერო ნაშრომთა ციკლისთვის „ლეიკემიებისა და ლიმფომების დიაგნოსტიკისა და თერაპიის თანამედროვე სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა მკურნალობის ოპტიმიზაციის მიზნით“.